გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვ'ს ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 სა პოლიტიკო და სა ლიტერატურო გაზეთი 1877—1893


**დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 16 იანვარს.**


ПРОДОЛЖАЕТСЯ ПОДПИСКА НА 1893 ГОДЪ
на газету
**„НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“**
(десятый годъ изданія).

Газета будетъ выходить ежедневно, по прежней программѣ.

Городская подписка принимается въ конторѣ редакціи, Головинскій проспектъ, 12. Гг. иногородные обращаются по слѣдующему адресу: Тифлисъ, въ редакцію газеты „Новое Обозрѣніе“.

Условія подписки, съ пересылкою и доставкою: на годъ 10 р., на полгода—6 р., на три мѣсяца—3 р. 50 к., на одинъ мѣсяцъ—1 р. 50 к., за границу: на годъ—17 р., на полгода 9 р., на три мѣсяца—5 р., (Подписка принимается не иначе, какъ считая съ 1-го числа любого мѣсяца).

Для годовыхъ подписчиковъ, какъ городскихъ, такъ и иногородныхъ, обращающихся непосредственно въ контору редакціи, ДОПУСКАЕТСЯ РАЗСРОЧКА, на слѣдующихъ условіяхъ: при подпискѣ вносится—3 р., къ 1-му марта—2 р., къ 1-му мая—3 р. и къ 1-му сентября—2 р.

Редакторъ В. М. ТУМАНОВЪ. Издатель К. М. ТУМАНОБЪ


### წლიური საზოგადო კრება

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წევრთა კრება, თანახმად საზოგადოების წესდების მე-11 §-სა, დანიშნულია კვირას, იანვრის 24, დილის 10 საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში. კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საგნები:

ა) ანგარიში საზოგადოების გამგეობის მოქმედებისა 1-ლ სექტემბრიდგან 1891 წ. 1 სექტემბრამდე 1892 წ. ბ) მოხსენება სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ $18^{92}/_{93}$ წლისათვის და გ) არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა. (5—1)

## ახალი ამბავი

*** დღეს ტფილისის დედათა სასწავლებელი წმ. ნინოსი დღესასწაულობს დიდს დღეობას საქართველოს განმანათლებელისას. ამ დღეს სასწავლებლის ეკკლესიაში დიდ ძალი მლოცავი დაესწრობა ხოლმე და წირვაც ჩვეულებისამებრ ქართულ ენაზედ იქნება.

*** სტამბოლის ელჩი იუწყება, რომ ტრაპიზონში 10—12 დეკემბერს ხოლერით ავად გამხდარა 34 კაცი, ამათში 12 კაცი გარდაცვლილა, და პლატანაში იმავე დროს ავად გამხდარა 8, გარდაცვლილა 6.

*** 12 იანვარს ბათუმიდგან მომავალმა საფოსტო და სახალხო მატარებელმა ძლიერ დაიგვიანა, რადგანაც ავჭალის ახლო ორთქლმავალი გაფუჭდა და ტფილისიდგან მეორე ორთქლმავალი დაიბარეს მისაშველებლად.

*** პეტერბურგიდგან იუწყებიან, რომ ფინანსთა სამინისტროს განზრახვა აქვს პაპიროსების გილზებს აქციზი დაადოს. ამ საქმის შესახებ სამინისტრო ჰკრებს საჭირო ცნობებს: რამდენი გილზი კეთდება მთელს რუსეთში, რამდენი ქარხანაა და სხვა.

*** 3 იანვარს რკინის გზის სადგურის ნატანების მეისრეს ივანე დოლიძეს მიჰვარდა ტურა და დაჰკბინა. დოლიძე უიარაღო იყო, მაგრამ არ შეშინდა, ტურა ხელით დაარჩო, ჩასდო ხურჯინში, ჩამოიტანა ტფილისს და წარუდგინა ექიმებს გასაშინჯად, ცოფიანი ხომ არ არისო.

*** 11 იანვარს ტფილისის ქალაქის საპჯოს კრება ჰქონდა. ამ კრებაზედ სხვათა შორის ხმოსანი თ. ჩოლაყაშვილი შეეკითხა, რატომ დღრევე არ გამოაცხადეთ, რომ ამ წლის ნახევარში ტფილისშიაც შემოღებულ იქნება ახალი საქალაქო დებულებაო. ან რატომ მთავრობას არა სთხოვეთ, რომ ეს დებულება შემოღებულ იქმნას 1893 წლის მეორე ნახევარში, რათა ყველას შესძლებოდა გაცნობა ამ ახალ დებულებისაო.

ქალაქის მოურავმა უპასუხა, რომ ახალ დებულების შემოღების შესახებ ქაღალდი მხოლოდ 7 იანვარს მოგვივიდა და მეორე დღესვე გამოვაცხადეთო. რაც შეეხება იმას, რომ დისა სჯობიან ამ დებულების შემოღება, ჩემის აზრით, უკეთესია, რომ ეხლავე შემოვიღოთ, რადგანაც ბევრ ამომრჩეველს აწევს „ნედოიმკები“ და არჩევანები რომ კიდევ გადავდოთ, ამ ნედოიმკებს კიდევ მოემატება და ბევრი ვერ მიიღებს მონაწილეობას არჩევანებში, მაშინ როდესაც ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამომრჩევლები ეხლანდელს მცირე ნედოიმკებს ადვილად გაისტუმრებენ და კენჭის უფლება არ დაეკარგებათო.

*** ტფილისის დედათა ინსტიტუტის დაარსების დღიდგან 50 წლის შესრულებისა გამო, 24 იანვარს ამავე ინსტიტუტში დანიშნულია პარაკლისი და საიუბილეიო აქტი, რომელსაც შეუძლიანთ დაესწრნენ ამ ინსტიტუტში ნამყოფი ქ-ლები და ყველა ისინი, ვისაც ამ ინსტიტუტში უმსახურია.

*** 12 იანვარს ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის ზედამხედველ კომიტეტს კრება ჰქონდა, რომელმაც განიხილა თავად-აზნაურთა ამას წინად მომხდარ კრების საგანი შესახებ იმისა, რომ, ბანკის წევრნი შეიკრიბნენ 15,000 მანათის გადასადებად, რომელიც დასჭირდება კახეთის რკინის გზის გამოკვლევას. კომიტეტმა გადასწყვიტა, ეს საქმე იმ დრომდე გადასდოს, ვიდრე ბანკის მმართველობა დაწვრილებით მოხსენებას წარუდგენს ამ საქმის შესახებ.

*** ტფილისში ძლიერ ვრცელდება ამ უკანასკნელ დროს ყელჭირვება და ხუნაგი. სოლოლაკში ამას წინად ყელჭირვებით ავად გახდა ოთხის წლის ქალი ვერა პუცენკო, შემდეგ გადაედო ეს სენი მის ძმას, ვასილს. დიდუბეს, აგაიანცის სახლში, ყელჭირვებით ავად გახდა ვერა სერგეევისა; მე-10-ე ნაწილში, ანდრიას ქუჩაზე, მაზანის სახლში ამავე სენით ავად გახდნენ ორი წლის ყმაწვილი ივანე და შვიდის წლის ქალი მარიამი როჩეინები; ხუნაგით ავად გახდნენ: ალექსანდროვის ქუჩაზე, ოსტროვის სახლში, 23-წლის ქალი მარიამ ეფრემოვისა და ნიკოლოოზის ქუჩაზე, კესლერის, სახლში 4 წლის ქალი ევგენია რიაბინინისა; პირველი მათგანი თავის სახლში წევს და მეორე-კი რკინის გზის სამკურნალოში გაჰგზავნეს.

*** ქალაქის ორთავ ხიდებისაგან 1892 წლის განმავლობაში შემოუვიდა კასას 18,508 მანეთი და 53 კ. შარშან-წინ-კი შემოსავალი იყო სულ 16,882 მან. და 80 კ. მაშასადამე, წლის განმავლობაში შემოსავალს მოემატა 1625 მ. 73 კ., შემოსავალმა იმატა მნაცაკანის ხიდზე, საიდგანაც 1891 წ. აიღო ქალაქმა მხოლოდ 5446 მ. და 52 კ., 1892 წელს-კი 7420 მ. და 3 კაპ. ვერის ხიდის შემოსავალმა-კი შარშან-წინდელთან შედარებით იკლო 347 მანეთი და 78 კაპეიკი.

*** ტფილისის მეთულუხჩეებმა თხოვნა მიართვეს ქალაქის გამგეობას და ამბობენ, რომ წყალზე ფასის მომატებამ ძრიელ დიდი ზარალი მისცათ, რადგან აქამომდე თვითოეული მათგანი იღებდა დღეში ექვს აბაზს, ხოლო 1 იანვრიდგან-კი შემოსავალი არ აღემატება ოთხ-აბაზ-უზალთუნს, რაიცა მათ არა ჰყოფნით თავის გამოსაკვებად და ცხენების შესანახად. ამის გამო სთხოვენ ქალაქის გამგეობას, რომ მან შეისყიდოს მათი ცხენები და თვითონ იგინიც დაიქირავოს წყლის მატარებლებად და დაუნიშნოს ჯამა-

## ფელეტონი

### პასუხი

(ვუძღვნი ცახელს)

„ერს, როდესაც ცეცხლ-კუპრს მოსდებს
ტანჯვა, საზღვარ-გადამცდარი,
მაშინ უნდა ჩანგის სიმხნე,
მაშინ უნდა წინამძღვარი“.

*

მაგრამ, როცა ერის ტანჯვას
მოუცვია მგოსნის გული,
სიბოროტეს აღუგზნია
მგრძნობიარე გმირის სული,—

*

გულ-ხელ-კრეფით ნუ თუ უნდა
მოელოდეს «ნეტარს ალოს»
და შესცქეროდეს: „ყამირ-გული
ბედმა მოალბ მოახუროს“?

*

მაშ რაღაა მგოსნის ძალა?
ვის რად უნდა მგოსნის მღერა,
თუ-კი ერსა ტანჯვისაგან
გამოიხსნის ბედის წერა?!.

*

თუ მგოსანს სურს ითვლებოდეს
ჩაგრულ-ერის წინამძღვარად,
ნუ მოუცდის „ნეტარს ალოს“...
თვით ჰხნას... სთესოს წინასწარად!..

*

აი, მაშინ შესრულდება
უტყუარად მგოსნის ვალი
და გულ-წრფელად აღგზნებული
მას თაყვანს სცემს ქვეყნის თვალი!..

*

ვინა სთქვა, რომ „ხალხის გული
გაყამირდა... არ იხვნება“,
რომ მგრძნობარე ღვთიურ-სიტყვას,
მგოსნის ნამღერს, ვერ მიხვდება?..

*

ხალხის გული ჩათუთქულა...
მოსთქვამს... ჰგლოვობს ბედის წერას;
მგოსანი-კი... ვერ ახერხებს
სულის ჩამდგმელ ჩანგის ჟღერას!..

*

ხალხი ჰგრძნობს, რომ მის გარშემო
რაღაც მავნე წყვდიადია,
თვით არ ძალუძს მის განფანტვა,
თუმც წყურვილი დიდია!..

*

ამ წყვდიადსა მგოსნის ჩანგმა
ნათლის შუქი უნდა ჰფინოს,
შეუგნებელ ხალხს თვალთაგან
მავნე ლიბრი გადასწმინდოს...

*

აი, მაშინ შესრულდება
უტყუარად მგოსნის ვალი
და გულ-წრფელად აღგზნებულსა
გაალმერთებს ქვეყნის თვალი...

*

თუ მგოსანს სურს, რომ შეიქმნას
ჩაგრულ ერის წინამძღვარად,
ნუ მოუცდის „ნეტარს ალოს“...
თვით ჰხნას... სთესოს წინასწარად!..

ნარ—კანი

12 იანვარი

### მოკლე ცნობანი ქართველთა მონასტრებზე აღმოსავლეთში და ხმლით აღება იერუსალიმის ქალაქისა ქართველთაგან 1527 წელს.

წმ. ნინოს მოღვაწეობის წყალობით, 324 წელს მირიან მეფემ მიიღო ქრისტეს სარწმუნოება, ხოლო 325 წელს მოინათლა ქართველთა ერი. შემდეგს 326 წელს რომის კეისარის წმინდა კონსტანტინეს დედამ ელენემ აღმოაჩინა იერუსალიმში თვით ის ჯვარი, რომელზედაც მიმსჭვალულ იქმნა მაცხოვარი ჩვენი, იესო ქრისტე. იმავე წელს წმიდა კოსტანტინე დიდს მიუვიდა მოციქული მირიანისაგან; მეფე ქართველთა სთხოვდა კეისარს ხურო-კალატოზების გამოგზავნას ეკკლესიების აღსაშენებლად და მღვდელ-დიაკვნებსაც იბარებდა ქრისტიანობის გასაძლიერებლად. კეისარმა, დიად გახარებულმან იმ გარემოებით, რომ ქართველნი ქრისტიანობის მიღებით მოსწყდნენ რომის მოძულე ერს—სპარსებს და დაუძმობილდნენ ბერძნებს, ყოველი სათხოვარი აღუსრულა მირიანს, დიდძალი ქონებაც წარმოატანა მოციქულებს ეკკლესიების აღსაშენებლად და, ამას გარდა, ისეთნი სიწმინდენი გამოუგზავნა ახალ-მოქცეულს მეფეს, რომლითაც სამართლიანად ქადულობდა და თავი მოჰქონდა მთელს ქართველობას. ეს სიწმინდენი იყო: 1) ნაწილი ძელის ცხოველისა, ანუ ქრისტეს ჯვარისა, 2) ფიცარი, „რომელზედაც მიმსჭვალულ იქმნა ფერხი მაცხოვრისა“ (ეს სიწმიდე ესვენა მანგლისის ტაძარში; კეისარმან ჰერაკლემ 631 წელს მოსტაცა საქართველოს), 3) „სამსჭვალნი“, ანუ ლურსმანნი, რომლითაც მაცხოვარი განართხეს ჯვარსა (ესეც XVIII საუკ. გაიტანეს და აწ ღირსეულად დაცულია მოსკოვის დიდებულს საკრებულო ტაძარში), და ამასთან კიდევ,—სწერენ,—კეისარმა ქართველთ აჩუქა ადგილი გოლგოთაზე, სადაც ჯვარს აცვეს მაცხოვარი.

ამ ადგილას მალე აღშენდა ქართველთა მონასტერი. ქართველი ბერები მრავლად მიდიოდნენ იერუსალიმს და საკუთარს მონასტრებს იშენებდნენ თვით იერუსალიმსა და ახლო-მახლო ადგილებში. ქართველთ დიდ-კაცობაც ხელს უწყობდა ბერებს. სწერენ, რომ თვით მირიან გაემგზავრაო იერუსალიმს და ამ გარემოებას ხომ დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ქართველ ბერების გამრავლების საქმეში იერუსალიმს. მისმა შვილმაც, ბაქარ მეფემ, უკანასკნელნი წელნი თვისის ცხოვრებისა პალესტინეში გაატარა და, რასაკვირველია, ხელს მოუმართავდა ქართველთ

გირი, ან არა და ყველანი მოიწვიოს გამგეობაში, სადაც იგინი განაცხადებენ თავიანთს უკანასკნელს სიტყვას, თუ რა პირობით დათანხმდებიან წყლის სყიდვას და გაყიდვას.

*** ბაქოდგან სწერენ „Т. Л.“-ს, რომ 16 იანვარს ქალაქის საბჭოს კრებას წარედგინება ხმოსანთა მოხსენება შესახებ იმისა, რომ ბაქოს მოურავს დესპოტ-ზენოვიჩს, 12 წლის ერთგულის სამსახურისა გამო მიეცეს პენსიად ყოველ წლივ 3000 მანათი; ამ მოხსენებისთვის ხელი მოუწერია 40 ხმოსანზედ მეტს. ამ კრების შემდეგ დესპოტ-ზენოვიჩი ქალაქის მოურავობას თავს დაანებებს.

*** იგივე გაზეთი იუწყება, რომ ამ დღეებში ტფილისის საქიმიო ლაბორატორია გასინჯავს ღვინოებს, რომელიც ტფილისში ისყიდება.

*** გაზეთ „Кавказъ“-ში დაბეჭდილია შემდეგი საყურადღებო წერილი. ავტორი წერილისა ამბობს, რომ პარიჟში როცა დიდი თოვლია ხოლმე, ქუჩებს დანაყილ მარილს აყრიან. მარილ-გარეული თოვლი ისე დნება, რომ მერე ქუჩების წმენდა ძლიერ ადვილია. გარდა ამისაო, ამბობს ავტორი წერილისა, მარილი ადვილადა ჰხოცავს ბაცილებსაო და საჭიროა, ქალაქის მმართველობამ ამ საქმეს ყურადღება მიაქციოსო.

*** გაზეთ „Каспій“-ში ვკითხულობთ: გასულ ზაფხულში ხოლერობის დროს, ნათლად დავინახეთ ბაქოელებმა, რომ სანიტარები გვაკლდა. ამის გამო ხოლერას რიგიანად ვერ ვებრძოლეთ, რადგანაც სანიტარებად იყვანდნენ ისეთ კაცებს, რომელთაც სანიტარობისა არა გაეგებოდათ-რა, და მხოლოდ ჯამაგირს იღებდნენო.

ახლა-კი საგონებელში ჩავვარდით. ბაქოს გუბერნიის მკურნალის თანაშემწემ ა. სემენოვმა გამოაცხადა, რომ დიდ საჭიროებად მიგვაჩნია გავმართოთ ლექციები და მსურველთ სასანიტარო წესები ვასწავლოთო: თუ ვინიცობაა მომავალ ზაფხულს ბაქოში ხოლერა გაჩნდა, სანიტარებად იმათ მივიღებთ, ვისაც მოწმობა ექნება, რომ ლექციებზე უვლია და სანიტარობა შეუსწავლიაო.

*** იმავე გაზეთში დაბეჭდილია სასტატისტიკო ცნობანი შესახებ იმისა, რამდენი კაცი ყოფილა 1892 წელს ბაქოს მიხეილის სამკურნალოში და რა ავადმყოფობისაგან უწამლიათ. ამ ცნობებიდგანა სჩანს, რომ 1892 წლის 1 იანვრიდგან 1893 წლის 1 იანვრამდე სამკურნალოში გარდაცვლილა 307 კაცი სხვა და სხვა ავადმყოფობით, ხოლერას გარდა.

## მთავრობის განკარგულებანი

დანიშნულ იქმნენ: სასტატო სუმანიის მასწავლებელი, კოლლეჟსკი სოვეტნიკი დმიტრიევი—ქუთაისის გუბერნიის სახალხო სასწავლებელთა ინსპექტორად. ქ. ყარსში დაბანაკებულის, 1-უმანის ცხენოსან ჯარის მღვდელი ზაქ. ლუკიანოვი—სამღვთო-სჯულის მასწავლებლად იქაურსავე სამოქალაქო სასწავლებელში. ბათუმის სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებელი ვლადიმირ პროკოფიევი—სამგრელოს სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებლად. ყარსის სამოქალაქო სასწავლებლისავე მასწავლებლის თანაშემწე ირაკლი ბაქრაძე — იმავე სასწავლებლის მასწავლებლად. ალექსანდრეს სასტატო ინსტიტუტში ახალ-კურს-დამთავრებული გიორგი წითლიძე—ყარსის სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებლის თანაშემწედ და გერჩის დედათა ინსტიტუტში აღმზრდელად ნამყოფი ელისაბედ მერკულოვის ასული—გორის ანასტასიას სახელზე დაარსებულ დედათა პროგიმნაზიის აღმზრდელის თანამდებობის აღმასრულებლად.

გადაყვანილ იქმნენ: ყარსის სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებელნი,—ტიტულიარნი სოვეტნიკი ბეჟანოვი და კოლლეჟსკი ასესსორი მუსხელიანი მასწავლებლებად, პირველი—განჯის საპროგესიონალო სასწავლებელში და მეორე—ბათუმის სამოქალაქო სასწავლებელში.

ტფილისის გუბერნატორის საგანგებო საქმეთა მოხელე, ხადვორნი სოვეტნიკი, თავ. ალექსანდრე ბებუთოვი დანიშნულ იქმნა ამავე თანამდებობაზე უფროს მოხელედ.

## კავკასიის სამკურნალო საზოგადოების კრება

12 იანვარი

კრება დაიწყო საღამოს 8 საათზე; დაესწრო 47 წევრი საზოგადოებისა და ორიოდე გარეშე კაცი. საზოგადოების მდივანმა, ბ-ნმა გრიგორიევმა, წაიკითხა მოხსენება იმ კომისიისა, რომელიც გასული წლის დამლევს ამოირჩია სამკურნალო საზოგადოებამ შესამუშავებლად კავკასიის ექიმთა მომავალ კრებაზე განსახილველ საგნებისა. კომისიის წევრებად იყვნენ: ლუნკევიჩი, გრიგორიევი, გოლბეკი, მონტვილი, სახაროვი, პანტიუხოვი, გაუდელინი, რუდენკო, გეიდმანი და სტეფანიანი. კომისიას, იმ წერილებიდანა და მოხსენებათაგან, რომელნიც წარსულ წლის ხოლერის შესახებ სამკურნალო საზოგადოებას გამოუგზავნეს კავკასიის სხვა-და-სხვა კუთხიდან მკურნალებმა, შეუდგენია პროგრამმა გამოსარკვევად სხვა-და-სხვა ცნობათა ხოლერის შესახებ. ეს ცნობანი კავკასიის ექიმთა მომავალ კრებაზე უნდა შეიმუშავდეს და გამოირკვეს, თუ როგორ უნდა ებრძოლონ ხოლერას, ვინიცობაა ამ გაზაფხულზე ისევ ეწვია კავკასიას. კომისიის აზრით, კავკასიის მკურნალთა კრება უნდა მოხდეს 21—28 თებერვალს და ამ დროისათვის უნდა მოწვეულ იქმნენ კავკასიის სხვა-და-სხვა ადგილებიდან ექიმები და გუბერნიის მმართველთა და ქალაქის გამგეობათა წარმომადგენელნი. პირველი კრება 21 თებერვალს იქნება და აღინიშნება ის საგნები, რომელნიც უნდა გამოარკვიოს კავკასიის მკურნალთა საზოგადო კრებამ.

ერთის კვირის განმავლობაში რო მოხერხდეს ხოლერის შესახებ ყველა ცნობათა გამორკვევა და საჭირო საგნების გარდაწყვეტა,—კომისიას დაუნახავს საჭიროდ ყველა ეს საგნები ოთხ ნაწილად დაჰყოს და ოთხ სხვა-და-სხვა განყოფილებამ განიხილოს. ეს საგნები შემდეგია: პირველმა განყოფილებამ უნდა განიხილოს: ა) უპირველესად ყოვლისა, რა ღონისძიება იხმარონ კავკასიის ექიმებმა, რომ ამ გაზაფხულზე რომელსამე კუთხეში ხოლერა არ გაჩნდეს, და ბ) როგორ უნდა მოეწყოს სამკურნალო საქმე, როცა ხოლერა უკვე გაჩნდება რომელსამე ალაგას.

მეორე განყოფილებამ უნდა გამოარკვიოს, თუ რა საშუალება და ღონისძიება უნდა იხმარონ ექიმებმა, რომ რომელსამე ალაგას გაჩენილი ხოლერა სხვა ადგილებს არ გადაედოს.

მესამე განყოფილების საგანი იქნება: ა) ხოლერის წინაამდეგ რომელი სადეზინფექციო საშუალება უფრო გამოსადეგია და ბ) რამდენად რიგიანი იყო წარსულ წელს ხოლერასთან საბრძოლველად მიღებულნი სადეზინფექციო და სხვა ღონისძიებანი?

მეოთხე განყოფილებამ უნდა განიხილოს: ა) მოკლედ აღწერა კავკასიის იმ ადგილებისა, მდებარეობისა და ჰავა-ბუნებისა, სადაც გასულ წელს გაჩნდა ხოლერა და ბ) გამორკვევა იმისა, თუ რომელსამე კუთხეს როგორ მძვინვარებდა ხოლერა, რამდენი იმსხვერპლა და რამ შეაჩერა?

ყველა ზემოთ მოხსენებული, განყოფილებათა მიერ აღნიშნული საგნები, როგორც გამოსარკვევი კავკასიის ექიმთა მომავალ საერთო კრებაზე, სამკურნალო საზოგადოების უმრავლესობამ დაამტკიცა. შემდეგ მომავალ საერთო კრების თავმჯდომარედ კენჭის ჩამოტარებით ამოირჩიეს მკურნალი ბ-ნი შლიახტინი (სამკურნალო საზოგადოების თავსმჯდომარე) და მდივნად მკურნალი გრიგორიევი. ბოლოს მომავალ კრების სხვა-და-სხვა წვრილმანი საგნები გაარჩიეს და ღამის 10 საათზე კრება დაიშალა.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ახალციხე.** საქველ-მოქმედო საქმეს ჩვენში დღეგრძელობის პირი არა აქვსო. ეს ჩივილი გესმის ყოველ ქართველისაგან, ვისაც-კი თვალყური უდევნებია ჩვენის საზოგადოების ცხოვრებასა და მოქმედებისათვის. აიღეთ ნიმუშად რომელიც საქმე გინდათ და ჰნახავთ, რომ საქმე მიდოლავს წინ ისე ნელა, ისე უნუგეშოდ, რომ გული გისკდებათ და ჰფიქრობთ, ნეტა როდის ეღირსება წარმატებაო. ეს ჩივილი უსაფუძვლო არ არის, თუმცა ისიც-კი უნდა ვსთქვათ, რომ ამ უკანასკნელს დროს საზოგადოება უფრო ფხიზლად და მეტის გულ-მტკივნეულობითაც ეკიდება სხვა-და-სხვა საკეთილო და საქველ-მოქმედო საქმეს.

გიამბობთ აქაურ ერთად-ერთ საქველ-მოქმედო საქმის ამბავს. ეს ოცი წელიწადია თითქმის, რაც განსვენებულის ანნა ბესარიონის ასულის მუსხელაშვილის თაოსნობით შესდგა ახალციხეში საქველ-მოქმედო საზოგადოება, რომელიც ინახავს ქალაქის ძველ ნაწილში ერთად-ერთს პირველდასაწყისს დედათა სასწავლებელს ღარიბთა ბავშვებისათვის. პატივცემულის ანნა ბესარიონის ასულის დროს ეს სკოლის საქმე თურმე კარგად მიდიოდა, როგორცა სჩანს საქმეებიდამ. საზოგადოებას წევრნი ბლომადა ჰყავდა; საწევრო ფული კარგად შემოდიოდა; ხშირად იმართებოდა წარმოდგენები და ლატარეია-ალეგრები და ამ ნაირად საკმაო ნივთიერი ძალა ეძლეოდა საზოგადოებას. ბოლოს განსვენებულმა ანნამვე მოახერხა, უმაღლესის ადმინისტრაციის შემწეობით, და დაითანხმა ქალაქის თვით-მმართველობა რომ აძლიოს მან ყოველ წლივ საზოგადოებას ოც-და-ათ-ათი თუმანი ძველ ნაწილში სკოლის არსებობისათვის. გარდაიცვალა დიდად პატივსაცემი ანნა ბესარიონის ასული და დარჩა საზოგადოება უთავოდ, უნუგეშოდ... ერთს დროს თითქმის ისპობოდა კიდეც მისი ხსენება ახალციხეში, მაგრამ ასცდა მშვიდობიანად ამ განსაცდელს, რადგან აქაურ მცხოვრებთ და გარედამ მოსულთა შორისაც აღმოჩნდნენ იმისთანანი, რომელთაც შესტკიოდათ გული წინად ნაშრომ-ნაღვაწ სკოლის საქმისათვის, და შეუდგნენ მის მდგომარეობის განკარგებას. ეხლა თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ სკოლის საქმე თანდათან უკეთ ეწყობა და

---

იერუსალიმის მონასტრებს. მეფის ვარაზ-ბაქარის შვილიც მურვანოზი, ბერობაში პეტრედ წოდებული (შემდეგ მიტროპოლიტი ქალაქის მაიუნისა და კაცი წმიდა), იერუსალიმს დაემკვიდრა 412—450 წლებში დიდხნობით და, როგორც სჩანს, ჯვარის მონასტერი აღაშენა იერუსალიმიდამ ნახევარ საათის სავალზე. ქართველებმა იშოვეს ნაწილიცა ქრისტეს საფლავისა და აქაც მოღვაწეობდნენ აღდგომის მონასტერში.

ამ გოლგოთის („კაფფათას“), აღდგომის და ჯვარის ქართველთა იერუსალიმის მონასტრებში პირველად ხელი მიჰყვეს ქართულ საეკკლესიო და სალვთისმეტყველო მწიგნობრობას. 399 წელს, როგორც საგულისხმოა, აქ უკვე გადუთარგმნიათ სამოციქულო სრული, და სახარება ხომ, რასაკვირველია, უწინაც გადათარგმნილი ექნებოდათ. დიდად მოღვაწეობდა ამ საქმეში თვით ზემოდ დასახელებული წმიდა პეტრე და იმისი თანაშემწე დიაღ განვითარებული საღმრთო შეცნიერებაში და ასურულ ბერძნულ ენაში მოწაფე მისი იოანე. ამათ გარდა იერუსალიმელ ძველ მთარგმნელთა შორის მოხსენებულნი არიან იერუსალიმელი ბერები დავით და სტეფანე, ეფრემ „დიდი“ (კარიჰისძე, და არა „ეფრემ მცირე“), ეფვთიმი „იერუსალიმელი“ (და არა ათონელი), გიორგი იერუსალიმელი (და არა მთაწმინდელი), მიქელ და სხვ., რომელთაც უმეტესი უთარგმნიათ არაბულ ენიდამ, ზოგი ასურულ-ებრაულ-ბერძნულ ენათაგან. სამწუხაროდ, მათი მრავალ-ფეროვანი და მრავალ-მნიშვნელოვანი ღვაწლი ჯერ კიდევ გამორკვეული არა აქვს ჩვენს ისტორიასა და მწერლობას.

მეხუთე საუკუნიდამ მნიშვნელობა იერუსალიმისა ქართველთათვის უფრო გაძლიერდა. ამ საუკუნის დამლევს სახელოვანმა ქართველთ მეფემ ვახტანგ გორგასლანმა მოილოცა იერუსალიმი და აღაშენა დიდებული ეკკლესია ქართველთ ჯვარის მონასტრისა და, უნდა ვიფიქროთ, რომ არც დანარჩენ ქართველთ მონასტრებს (გოლგოთისას და აღდგომისას) დასტოვებდა უყურადღებოდ. ამ წარჩინებულის მეფის სახელს დღემდე ქვანი და კედელნიც-კი ჰლალადებენ ქართველთ იერუსალიმის მონასტრებისა.

ამავე დროს განითქვა თვისის მოღვაწეობით საბა-წმიდის ქართველთ მონასტერი (იერუსალიმს ახლო), სადაც მრავალი წიგნები უთარგმნიათ ქართულად არაბულ ებრაულ-ბერძნულ ენიდგან, როგორც ამას ჰმოწმობენ უტყუარნი საბუთნი. მე V—VII საუკუნოებში სხვა ქართველთა მონასტრებიც შენდება აღმოსავლეთში, იერუსალიმს ახლო-მახლო, რომელთაგან შესანიშნავნი არიან: ბეთლემისა, იორდანის ელია წმინდის მონასტერი, სამოელ-წმიდის, იორდანის იოანე ნათლის მცემლისა, სინას მთის ქართველთა განთქმული მონასტერი, სვიმონ-წმიდის ქართველთა მონასტერი ასურეთს (ანტიოქიის ახლო), რომლიდანაც გამოვიდნენ ცამეტნი მამანი, „ასურელნი“ (უმეტესნი მათგანნი ქართველნი უნდა ყოფილიყვნენ). თვით სვეტი სვიმონისა ანუ „თორხე სიმეონისა“ შეიძინეს ქართველთა და ზედ მონასტერი აღაშენეს (წოდებული „სვიმონ-წმიდის თორნედ“), ანტიოქიას ახლო, ზღვის პირად ქართველთა ჰქონდათ საკუთარი ეკკლესიები „შავმთას“, „კალიპოსს“, „მართა-წმდას“. იმავე საუკუნოებში აღშენდა ქართველთ მონასტერი კვიპრეს კუნძულზე; ეს მონასტერი იწოდებოდა ყალიად (ქ.-ცხ-ში „ღალიად“), როგორც საბუთებიდამაცა სჩანს.

არაბთა შემოსვლის დროს VIII—IX საუკუნოებში აღმოსავლეთის მონასტრები დიდად დაზიანდა და დამცირდა, განსაკუთრებით საბა-წმიდისა, იორდანისა და სინას მონასტრები. დანარჩენნი გალარიბდნენ, ბერები დაიფანტნენ აქეთ-იქით და ერთი ნაწილი ქართველთ ბერებისა გარდავიდა ევროპაში და გააშენა მონასტრები ულუმბას (ოლიმპის მთაზე) და ათონს. იერუსალიმსა და ანტიოქიაში-კი ქართველნი მაინც ჰმაგრობდენ, ქართლის დიდ-კაცობაც ეწეოდა იმათ ზნეობით და ქონებით. სხვებზე უმეტესად ჰზრუნვიდა იერუსალიმის მონასტრებისათვის ქართლის მდიდარი მთავარი, მწიდა მოწამე კონსტანტინე, რომელმაც 849 წელს დიდი ქონება გაუგზავნა იერუსალიმისა და იორდანის ქართველთ მონასტრებს. აგრეთვე დიდად შეეწია წმიდა „ილარიონ ქართველი“, რომელიც კაკეთით წავიდა იერუსალიმს დიდ-ძალის ქონებითა და 17 წელი დაჰყო ქართველთ საბა-წმიდის მონასტერში, ელიას ქვაბში. მაგრამ, რადგან არაბნი მოსვენებას არ აძლევდენ ამ მონასტერს, ილარიონ გადვიდა ბალკანეთში, სალონიკს, და იქ მოღვაწეობდა. იმის წმიდა გვამი კონსტანტინოპოლს ახლო დაკრძალეს 882 წ.; მის საფლავზე აღშენდა დიდებული ჰრომანას მონასტერი, სადაც არაერთი ქართული წიგნი, აქამდე მოღწევნილი, გადუწერიათ ქართველ ბერებს.

მეათე საუკუნეში არაბნი განდევნეს საქართველოდამ; გაერთიანდა საქართველო, დაიწყო ძლიერი ერთმეფობა ეგრედ წოდებულ „აფხაზთ-მეფეთა“, რომელმაც გასტანა 250 წელიწადი. ამ დროს საქართველომ მოიპოვა დიდი საპოლიტიკო ძალა და მნიშვნელობა აღმოსავლეთში.

ამ გაძლიერებას თან მოჰყვა განკარგება იერუსალიმის ქართველთ მონასტერთა, რომელნიც გაღარიბდენ

ხალხის ყურადღებაც დაიმსახურა ამ სასარგებლო საქმემ. ამას გვიმტკიცებს შემდეგი საგულისხმიერო გარემოება: ამ სამის წლის წინად სასწავლებელში არ იყო სულ 30—35 მოსწავლე-ქალი; შარშან მათი რიცხვი აღემატებოდა 70-ს, წელს ოთხმოცსაც გადააჭარბა. ამ სამს წელიწადში საზოგადოებამ და იმისმა სკოლამ ისე ფერი იცვალა, რომ არა რომელის მხრივ არ მოგაგონებთ წარსულს: მაშინ საზოგადოებას არ შეეძლო ერთი მასწავლებლის მეტი ჰყოლოდა სკოლაში; ეხლა მასწავლებელი-ქალი ორია, ოც-და-ხუთ მანეთ ჯამაგირად თითო, და ერთიც ხელ-საქმის მასწავლებელი-ქალია და ათი მანეთი ჯამაგირი აქვს თთვეში; მასთან საზოგადოება ქირაობს სკოლისათვის შესაფერს, ფართო სახლს ოთხმოცზე მეტს შეგირდისათვის და, ამას გარდა, აგროვებს კიდეც თანხას საკუთარის შენობის შეძენისა, ან აგებისათვის. ეს უკანასკნელი თანხა შესდგა 1891 და 1892 წელთა სხვა-და-სხვა დროს გამართულ წარმოდგენებისა და კერძო შემოწირულებისაგან. მართალია, საზოგადოების გამგე კომიტეტმა გადასწყვიტა და მოსწავლე-ბავშვებს ახდევინებენ სწავლის ფულს—იმასაც შეძლებისა დაგვარად და მხოლოდ იმათ, ვისაც შეუძლიანთ, მაგრამ ეს (სულ 15 თუმნამდე არც-კი შეგროვდება) იმდენად მცირეა იმ ხარჯთან შედარებით, რომელიც ყოველ წლივ სკოლას უნდება, რომ სახეში მისაღები არც-კია. საწევრო ფული და კერძო შემოწირულებანი რომ არ ჩავთვალოთ, ზემოხსენებულ ქველმოქმედთა მეცადინეობით შარშან საზოგადოებას შემოუვიდა წარმოდგენებისა და ლატარეია-ალეგრისა, რომელიც გაიმართა მარიამობისთვის 9-ს, 500 მანეთზედ მეტი; ამ ფულიდამ ზოგი, უფრო მეტი, სკოლაზეა დახარჯული და ზოგიც შენობის ასაგებ თანხაში ჩაირიცხა.

საკმაოა, მგონი, ეს ფაქტები დასამტკიცებლად იმისა, რომ საზოგადოების გამგენი, შეძლებისა დაგვარად, არ აკლებენ შრომას, სცდილობენ გააუკეთესონ სკოლის საქმე და შემოსულს ფულსაც შესაფერს დანიშნულებას აძლევენ.

მაგრამ სამწუხაროა ის, რომ იმავ საზოგადოების წევრთა შორის იჩინეს თავი იმისთანებმა, რომელნიც ეჭვის თვალით უყურებენ პატიოსან მუშაკთ მეცადინეობას.—ამას წინად, უკანასკნელის წარმოდგენის დროს, რომელიც იყო ქრისტეშობისთვის 27-ს, ერთმა საზოგადოების წევრმა საყვედური სთქვა, როცა ბილეთი აიღო: „რას ასწავლიან სკოლაში ჩვენს შვილებს? მასწავლებლები ქართულად სამის თითით აწერინებენ ჩვენს შვილებს პირჯვარსაო“ (მთქმელი ამისი ქართველი-კათოლიკე გახლავთ). უნდა ვსთქვათ, რომ სკოლაში კათოლიკეთა ბავშვებისათვის იმათივე მღვდელი დაიარება და ასწავლის საღმრთო-წერილსა და სჯულს; ამას გარდა, საზოგადოებაში კათოლიკენი სხვებიც ბევრნი არიან, მაგრამ არც ერთს მათგანს არ შეუმჩნევია ეს! ჩვენს „საზოგადოებას“ დამალული არა აქვს-რა. ყოველმა წევრმა იცის, სად და რამდენი აქვს დახარჯული საზოგადოებას, იცის აგრეთვე, რას და როგორ ასწავლიან სკოლაში და სხ. მაგრამ საერო რა გავამტყუნოთ, როცა ამისთანა სამდურავს ამბობს სასულიეროც, მერე ისეთი სასულიერო, რომელმაც კარგად იცის ყოველივე წვლილი და გარემოება არა თუ სკოლისა, არამედ წარსულის ჩვენის ცხოვრებისაცა. ვისაც არა სჯერა, რომ საქმე ცხადია, მიჰმართოს „საზოგადოების“ ხაზინადარს, მოსთხოვოს ანგარიში საზოგადოების ფულისა და დარწმუნდება, რომ გამგენი სიმართლით მოქმედებენ. სასწავლებლის კარიც, როგორც სხვებისთვის ისე ამისთანათვისაც ყოველთვის ღიაა: მივიდნენ და ჰნახონ თავიანთის თვალით, აწერინებს კათოლიკეთა ბავშვებს პირჯვარს ქართულად, თუ არა?

ვ.

## პატარა ფელეტონი

„შავი კაკაბი შაიბნენ“...

უკაცრავად, შავი კაკაბი-კი არ შაიბნენ, შაებნენ ერთმანეთს ორი რუსული გაზეთი.

„ომი იყო მეტად ცხარე“...

მაგრამ ვერც ერთმა ვერ აჯობა.

მერე ძმურად ხელი-ხელს გადაჰხვიეს, ძმურად ერთმანეთს გადაჰკოცნეს და გადასწყვიტეს, მოდი, ორთა კავშირი შევკრათ და ამიერიდგან „ივერიას“ ვეომოთო. იშოვნეს სტვირი, ქამანჩა (ან სხვა რა იარაღის ხმარებას შესძლებენ ამ ორის გამოჩენილის გაზეთის ორი სახელოვანი გმირი და სულის ჩამდგმელი), ჩაჰბერეს სტვირსა, გაუსვეს სიმებს ქამანჩა და გაიმართა კიდეც ფიცხელი ბრძოლა.

„ივერია“ თანაუგრძნობს ახლად დაარსებულს სახლების ამშენებელს საზოგადოებას. ერთს ამ გმირთაგანს თავის მოვალეობად მიაჩნია, ეს ამხანაგობა გაჰკიცხოს და სულ იმას გაიძახის: სახლებს ვერ ააშენებთო.

„ივერია“ თანაუგრძნობს კახეთში რკინის გზის გაყვანის საქმეს. იგივე გმირი-კი ყოველ დღე გაიძახის: რკინის გზას ვერ გაიყვანთო.

„ივერიამ“ რამდენიმე წერილი დაჰბეჭდა ღვინის სავაჭრო ამხანაგობის შესახებ. იმავე გმირმა კვლავ ღაღად ჰყო ხმითა დიდითა: ღვინის ვაჭრობის ამხანაგობა ღვინით ვერ ივაჭრებსო.

რატომაო? იმიტომაო, რომ ჩვენ დიდად განვითარებულნი და ჭკუის პატრონნი ვართ, და ქართველები-კი არა, იმიტომაო, რომ ჩვენ „პესიმისტები“ ვართ და ბ-ნი ნიკოლაძე და „ივერიის“ თანამშრომელნი-კი „ოპტიმისტები“ არიანო.

არც მეორე გაზეთის გმირი ჩამორჩა თავის მეგობარს.

„ივერიამ“ ამას წინად დაჰბეჭდა წერილი ქართველ ლიტერატორთათვის ფონდის დაარსების შესახებ.

ეს გმირი ძლიერ განრისხდა და გაცასწყრა, როგორ თუ ქართველ ლიტერატორთა ფონდის შესახებ ხმა ამოიღეთო. ვერაფერ ფონდს ვერ დააარსებთო.

რატომაო? იმიტომაო, ბრძანებს გმირი იგი, რომ ამ ფონდის შესახებ უწინ ჩვენა ვწერდით და არაფერი გამოვიდაო და კიდევ იმიტომაო... რომ არ ვარგა მარტო ქართველთა ლიტერატორებისათვის ფონდის დაარსებაო. ან სად არიან მერე ქართველი ლიტერატორებიო, ჰკუხს იგივე გმირი. 30 წლის განმავლობაში ქართველთა შორის მხოლოდ ორი ლიტერატორი გამოჩნდა, ერთი თ. ი. მაჩაბელი გახლავთ და მეორეც კიდევ ბ-ნი ხონელიო *).

აი ლიტერატორები ჩვენა ვართო, ჰკვეხულობს იგივე რაინდი, ხომ ნახეთ, ჩვენის გაზეთის ახალ წლის ნომერში როგორი მეთაური გამოვჭიმეთ. ჩვენაო, ეწერა ამ მეთაურში, ძაან ბიჭები ვართო, მთელი ექვსი წელიწადია, სულ ციბრუტივით ვტრიალებთ, ვინც მოგვხვდება, გავლანძღავთ, გავკილავთ, გავათრევთ; ხანდახან ამისათვის ძლიერ ლაზათიანად მოგვხვდება ხოლმე, მაგრამ არა გვიშავს-რა. ამას იქით უფრო უარესს ვიზამთო.

განი, კედლებო!..

აბრა

*) ვერაფერი მეხსიერება ჰქონია ამ აბჯაროსანს. რად დაავიწყდა კიდევ ერთი დიდი ბურჯი ჩვენის ლიტერატურისა ბ-ნი კეზელი, რომელიც „ბრწყინვალე ვარსკვლავივით“ ანათებს წყვდიადით მოცულს მიდამოს.

ასოთ-ამწყობი.

## წვრილი ამბავი

ამ ცოტა ხანში ჟორჟ-ტიებრომ პარიჟში წაიკითხა ლექცია პანამას საქმის შესახებ. ლექციას ორ-ათასამდე კაცი დაესწრო, მათ შორის სენატორები, დეპუტატები, ინჟინერები, ფინანსისტები და აგრეთვე ქალები. ჟ. ტიებროს აზრით, მთავრობა ვალდებულ იყო ხელი მოემართა პანამის საქმისათვისაო. ეს აუარებელი ფულების გაფლანგვა-კი, ტიებროს აზრით, თითქმის ყოველთვის მოსდევს ამ გვარ დიდს საქმეს, როგორიც არის პანამის საქმეო. მერე ტიებრომ წარმოსთქვა, რომ ჟურნალ-გაზეთობას უსაფუძვლოდ ჰკიცხავენ, რომ იმათ სხვა-და-სხვა განცხადებათათვის 20 მილიონამდე ფრანკი აუღიათ, ეს მხოლოდ კანონიერი დაჯილდოვებაა იმათის შრომისაო.

— ამ დღეებში კესლინის სასამართლოს პროკურორმა გამოაცხადა სია იმ აკრძალულ წიგნებისა, რომლებიც რყვნიან კეთილ-ზნეობას. ამ სიაში მოჰყვა თხზულებანი ალექსანდრე დიუმასი, ალფონს დოდესი, ევგენი სიუსი, გრაფ ტოლსტოისა, ზახერ-მაზოხისა და პოლდე-კოკისა.

— დეკემბრის დამდეგს ჩინეთის აკაზაკთა ბრბო თავს დაესხა სოფელ კამელს და ცეცხლი წაუკიდა ეკლესიის მახლობლად ფიცრულს სახლს, სადაც შეკრებილი იყო სადღესასწაულოდ ხალხი. 1940 კაცი დაიწვა.

— 6—7 იანვარს გენუაში იტალიისა და ამერიკის გამოფენაზედ რამდენიმე განყოფილება მთლად გადაიწვა. მუალამისას ცეცხლი გაანელეს. ცეცხლმა ბევრი ხალხი იმსხვერპლა.

— იაპონიაში 20 დეკემბერს მატყლის სართავ ერთს ქარხანაში გაჩნდა ცეცხლი, რომელმაც მოიცვა მთელი მიდამო. გადაიწვა 250 სახლი და 125 კაცი. მომეტებული ნაწილი ამ ქარხანაში მომუშავეთა ქალები იყო.

— როგორც სასტატისტიკო ცნობებიდგანა სჩანს, ბერლინში ამ ხანად 1,655,690 სული მცხოვრებია.

— გაზეთების სიტყვით, გამოჩენილ მოანგარიშეს ინოდის მოქიშპე გამოსჩენია. ეს მოანგარიშე ამერიკაში მცხოვრები ზანგია. საკვირველის სისწრაფით გამოიანგარიშებს თურმე ეს ზანგი, რომელ რიცხვს რა დღე იყო ამ სამას-ოთხასის წლის განმავლობაში.

— პარიჟში, ესრედ წოდებულს „ქალთა უფლების დამცველ საზოგადოებას“ განუზრახავს მომავალ საპარლამენტო წევრთა არჩევანებს წარუდგინოს კანდიდატებად ჯერ გამოჩენილი კალმოსანი სოციალისტი ქალი სევრინი, მერე ქ-ნი დიუკ-გერსი დი მაულინ მანკი.

## წერილი რედაქციის მიმართ

დაბა-ცხინვალში, მთავრობის ნებართვით, გაიმართა სამკითხველო, რომელსაც აზრად აქვს აღძრას ხალხში კითხვის სურვილი უოკლედ გვარ, განსაკუთრებით, ქართულის წიგნებისა; სამკითხველოს აზრად აქვს, წიგნები აკითხოს საზოგადოებას იაფ ფასად და ღარიბებს უფასოდ. რადგან ამ გვარ საქმეში საჭიროა საზოგადოების დახმარება, გთხოვთ, ნება გვიბოძოთ და თქვენის გაზეთის შემწეობით მადლობა გარდავუხადოთ იმათ, რომლებმაც ინებეს შემწეობის აღმოჩენა ცხინვალის სამკითხველოსათვის. აი სია ამათი; თავად-აზნაურთა წინამძღოლმა ბა-ნმა ივ. სულხანიშვილმა 10 მანათი, მარიამ სულხანიშვილმა 5 მანათი, ნიკოლოოზ და ალე-

---

და შემცირდენ არაბთა მძლავრობის დროს. გიორგი I-მა († 1027 წ.) დიდ-ძალი შეწირულობა გაგზავნა იერუსალიმს და ამ შეწირულობის შემწეობით განაახლეს ქართველთა ჯვარის მონასტერი. ამის გამო ეს გიორგი იწოდება „მეორეთ (შემდეგ ვახტანგისა) აღმაშენებლად“ ჯვარის მონასტრისა.

გიორგის ძემ, განთქმულმა ბაგრატ IV-მ და განსაკუთრებით მისმა სახელოვანმა დედამ—მარიამმა — დიდი ღვაწლი დასდეს იერუსალიმის ქართველთ მონასტრების შემკობა-განახლების საქმეს 1034—1036 წლებში. როგორც სჩანს, მარიამის დახმარებით ჯვარის მონასტერი განაახლა გიორგიმ, ქართველმა მღვდელმა, რომელიც თავის თავს უწოდს „გიორგი პროტოიერეი“-დ. ამას თვით გიორგი მოგვითხრობს, მისგანვე დაწერილს ერთს ტყავის წიგნში.

1038 წელს ბაგრატ მეფემ, რომლის სურათი დღესაც იპოვება ჯვარის მონასტრის კედლებზე და დედა მისმა მარიამმა დიდი შეწირულობა გაუგზავნეს იერუსალიმის ჯვარის მონასტერს პროხორე ბერის ხელით, რომელიც საქართველოდამ გაჰგზავნეს „ჯვარის მამად“, ე. ი. წინამძღვრად ქართველთა ჯვარის მონასტრისა, რადგან წინანდელი ჯვარის მამა ელია გარდაცვლილიყო. 1038—1042 წლებ შუა პროხორემ აღაშენა ჯვარის მონასტერი, შენობა მოუმატა და ძვირფასად შეამკო. ამ პროხორეს „ზეობასავე“, ე. ი. იმის სიცოცხლესა და წინამძღვრობაში, ჯვარის მონასტერს დიდი შეწირულობა მიუვიდა იმ დროინდელ ცნობილ ისტორიულ მოღვაწეთაგან: სულა ზოლავარისგან, სტეფანოზ და ვაჩე კარიჭაშვილისაგან, სანანო ქველისძესაგან, იოანე და გაბრიელ და ივანე-წმიდელ საფარელთაგან, კათალიკოზის ოქროპირისაგან და სხ.

იმავე მე-XI საუკუნეში თათრებმა, სელჩუკიანებმა აღმოსავლეთი და საბერძნეთი აღაოხრეს და დაიპყრეს; საქართველოშიც შემოვიდნენ და დიდად დააზიანეს. დაიპყრეს იერუსალიმის მონასტრები და ქალაქის კლიტე თვითონ ჰქონდათ და მლოცველთაგან დიდს ფასს იღებდენ ქრისტეს საფლავის მოლოცვისათვის. „აღდგომის“, (ე. ი. იერუსალიმის აღდგომის მონასტრის) დეკანოზი იოანე ვარძიელი სწერს: „კლიტენი იერუსალიმისანი მათ, თათრებსა, ჰქონდეს საწვრთელად ცოდვათა ჩვენთათვის, არცა ვის უტევებდეს შესვლად თვინიერ დიდისა ქირისა და საფასისა, არცა გამოსვლად“. იმ დროს ჯვარის ქართველთ მონასტერში სცხოვრობდა კირილე მტბევარი, ხოლო ჯვარის მამად იჯდა იოანე.

ეს თათრები სწორედ თათრები—სელჩუკიანნი იყვნენ, რომელთაც სახელოვანად ებრძოდა საქართველოს საზღვართა შორის საქართველოს მეფე დავით აღმაშენებელი, ხოლო იერუსალიმისკენ იმათვე და იმავე დროს ებრძოდა მთელის ევროპის „ჯვაროსანთა მხედრობაც“. ამ ორ ცეცხლ შუა ვერ გასძლეს სელჩუკთა და მოუძლურდენ. იერუსალიმი ევროპიელთ ჯართ დაიპყრეს და დააწესეს იერუსალიმის სამეფო. თათრებისაგან გაძარცულს ქართველთ მონასტრებს დავით აღმაშენებელმა დიდი განძი გაუგზავნა განსაახლებლად და შესამკობლად. მაგრამ ფრანგებმა, როგორც სჩანს, ერთი ნაწილი გოლგოთისა ქართველებს წაართვეს მძლავრობით.

თამარ მეფის ძლიერი მეფობა იერუსალიმელ ქართველ მონასტრებსაც დაეტყო: არა ერთხელ და ორჯერ თამარმა გაუგზავნა დიდი შეწირულობა იერუსალიმელ და მისს გარემო მონასტრებს, ხოლო უკანასკნელ იქ მივიდა თვით უკვდავი მწერალი „ვეფხვის ტყაოსნისა“ შოთა რუსთაველი, რომლის სურათი იპოვება ჯვარის მონასტრის ერთს კედელზე. აი როგორ აღგვიწერს ამ სურათს პლ. იოსელიანი, რომელსაც უნახავს ჯვარის მონასტერი 1845 წ. მაისის 3 და 4: *) წმიდა მაქსიმე და იოანე დამასკელს შუა ჯვარის მონასტრის უკანა სვეტზე დახატულია „მუხლზე მდგომარე მოხუცი თეთრის, სქელისა და გრძელის წვერითა, თავზე ჰხურავს მაღალი თეთრი არაღჩინი, შავი ძალა შემოდებული, მწვანე კაბა, წითელი სარტყელი და ზევიდამ ასხია ჯიგრისფერი ხირლა საერისკაცო თეთრის სამხრითა.. ამას აწერია: „ამისსა დამხატავს შეუნდოს ღმერთმან, ამინ: შოთა რუსთველი“.

თ. ჟორდანია

(შემდეგი იქნება)

*) პლატონ იოსელიანის იერუსალიმის აღწერა ბ-ნმა არ. ქუთათელაძემ, არ ვიცი, რა საბუთით, ვიღაც ლორთქიფანიძე ბერს მიაკუთნა და „ივერიაში“ დაჰბეჭდა (1889 წ., №№ 70—73). განმარტება და გამოქვეყნება საისტორიო საბუთებისა დიაღ რომ მიუცილებელი საჭიროებაა, მაგრამ ნეტა რომელ „მეცნიერის“ დახმარებით, ანუ რომელ წყაროებიდამ ამოუკრეფია ბ-ნ ა. ქუთათელაძეს ის სხოლიოები, რომელშიც განგვიმარტავს, რომ „ქართლის დედოფალი მარიამ, ასული დადიანისა“, (როსტომ მეფის ცოლი, XVII საუკ. ვითომ დედა იყოს ბაგრატ IV († 1072 წ.); ანუ ვითომ მეფე გიორგი (გარდაცვალებული 1513 წელს), მიცვლილიყოს 855 წელს!! ანუ ლეონ, მეფე კახთა (რომელიც გარდაიცვალა 1574 წელს) გარდაცვალებულ იყოს 957 წელს და სხვა-და-სხვა ამ გვარი საუცხოვო მარგალიტები!! ამ გვარის სხოლიოებით შუქის მაგიერ ბნელი ეფინება ჩვენს ისტორიას.

ავტ.

ქსანდრე ფავლენიშვილებმა—4 მანათი, თ. რევაზ ფავლენიშვილმა 24 ცალი ქართული და რუსული წიგნები და აღგვითქვა ორი მანათი, მ. ლუკაშევსკიმ 2 მანათი, ეკატერინა იარალოვისამ 2 მ. ვ. მუწოვმა 2 მან., ლ. უზნაძემ 2 მან., იაკობ ლიპიაცკიმ 2 მან., მ. მაჭავარიანმა 2 მან., ივ. ორჯონიკიძემ 2 მან., ი. ხიმშიაშვილმა 2 მან., ი. ელიოზიშვილმა 2 მან., ნ. ქარსანოვმა 2 მანათი, სოლომონ და ნიკოლოოზ კასრაძეებმა 4 მან. ყველა ამათ უნდა შემოიტანონ ყოველ თვიურადაც აგრეთვე თითო აბაზი. სხვამაც ბევრმა აღგვითქვა შემწეობა და იმედია, რომ ეს სასარგებლო საქმე კარგად წავიდეს. შემომწირველთ სიას გამოვაცხადებთ შემდეგში თქვენს გაზეთშივე.

ივანე ელიოზიშვილი.

8 იანვარს, 1893 წ.
დ. ცხინვალში.

# დეპეშა

13 იანვარი

**ბერლინი.** „Reichsanzieger“-ში დაბეჭდილია, როგორის წესით უნდა მიეგებნენ მემკვიდრე ცესარევიჩს, როდესაც მისი უმაღლესობა აქაურ სადგურს მობრძანდება: დღეს საღამოს $9^1/_2$ საათს, იმპერატორი, ყველა სამეფო სახლის პრინცები, რომელნიც-კი აქ და პოტსდამში იმყოფებიან, გენერლობა, ბერლინის გუბერნატორი და კომენდანტი შეიკრიბებიან სადგურზედ; საპატიო ყარაულს შეადგენს ერთი როტა მესამე გვარდიის პოლკისა მუსიკით და დროშებითურთ. სადგურს წინ გამწკრივდებიან გვარდიის კორპუსის ესკადრონი; ნახევარ ესკადრონი მემკვიდრე ცესარევიჩის ეტლს გაუძღვება, მეორე ნახევარი-კი უკან მიჰყვება. მისი უმაღლესობა ფრიდრიხსტრასს მიბრძანდება საელჩო სასახლეში, სადაც მეორე საპატიო ყარაულად იქმნება დაყენებული გვარდიის იმპერატორის ალექსანდრეს მოსახელე პოლკის ერთი როტა დროშით და მუსიკით. სასახლეში ყარაულად დანიშნულ არიან ვესტფალიის გუსარის პოლკის ჯარის კაცნი, რომლის შეფად მისი უმაღლესობა ითვლება.

**პარიჟი.** გამოძიება პანამის საქმისა გათავდა. ზოგს გაზეთს შესაძლოდ მიაჩნია, რომ რუვიე, ტევენე და ჟულ როში სამართალში არ მიიცემიანო. „ფიგარო“ ამბობს, რომ არც ბლოდენს მისცემენ სამართალშიო.

**ვენა.** „Fremdenblatt“-ი იუწყება, რომ მინისტრ დეველსსა და ელჩის გრაფ გოიოშის ბჭობას აზრად ჰქონდა გამოერკვია, როგორ უცქერის საფრანგეთის მთავრობა იმ ჭორს, ვითომ სამთა-კავშირის სურვილია ფეხი გამოსდოს და დაამხოს დღევანდელი წეს-წყობილება საფრანგეთისაო. ამ ცილის წამებას, პარიჟის ზოგიერთ მთავრობის მომხრე გაზეთის მიერ მოგონილს, „Fremdenblatt“-ის აზრით, კავშირი აქვს ტატიშვილის ჩვენებასთან, რომელიც მან მისცა გამომძიებელს და რომელმაცააყაყანა პარიჟის წვრილი გაზეთები, რის გამოც მთავრობას წინაღმდეგობა უნდა გაეწია ასეთის ხმების გავრცელებისათვის.

ჩვეულებრივის ცერემონიალის დაცვით იქორწინეს დღეს შუადღისას ჰერცოგმა ალბრეხტმა ვირტემბერგისამ და ერცჰერცოგინია მარგარიტა—სოფიამ.

**ბელგრადი.** ამბობენ, რომ სერბის მეფის შერიგებულ დედ-მამის კანონიერ ცოლ-ქმრობას განსაახლებლად მწყემსთ-მთავართა კრება გადასწყვეტს, გაუქმებულ იქმნას ყველა ქაღალდები განქორწინებისა და ლოცვა-კურთხევით დაჰრთავს ნებას ცოლ-ქმრობისასაო. რუსეთის ელჩმა დეპეშით მიულოცა მეფის დედ-მამას.

**ლონდონი.** ქაირიდამ ამბავი მოვიდა, რომ საოკუპაციო ჯარს მხოლოდ ორი ბატალიონი მოემატებაო. ეს ორი ბატალიონი ალექსანდრიაში იქნება და ქაირს არ გაიგზავნება, თუ საჭიროებამ არ მოითხოვაო.

პეტერბურგის ბირჟა, 12 იანვარი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,80 | 7,84 | —,, |
| ატამოყნის კუპონები . | $155^3/_4$ | $156^3/_4$ | —,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . . | 1,08 | 1,10 | —,, |
| 5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | —,, | —,, | $241^1/_4$ |
| —მეორისა . . . . | —,, | —,, | 228 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | —,, | —,, | $192^1/_2$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6°/₀. . . . . . | $102^1/_2$ | —,, | —,, |
| 5°/₀. . . . . . | 99,87 | —,, | —,, |
| ქუთაისის ბანკისა 6°/₀. | $102^1/_2$ | —,, | —,, |
| 5°/₀. . . . . . | 99,87 | —,, | —,, |
| 5°/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 99 ,, | —,, | —,, |

## გამოსადეგი ცნობანი

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

**ტფილისსა და განჯას შუა.**

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

**ბათუმიდამ გადის:**

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. სამშაბათობით: დღისით 4 საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

**ბათუმში მოდის:**

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით ნოვოროსსიისკიდამ.

პარასკეობით: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

**ფოთიდგან გადის:**

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

### ნიხრი

1892 წ. 1 დეკემბრიდგან ახალ განკარგულებამდე.

| | |
|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 კ. |
| წითელი „ 1-ის ხარისხ. „ | 4 „ |
| „ „ 2 „ „ „ | $3^1/_2$ |
| „ „ 3 „ „ „ | 3 „ |
| თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ | 5 კ. |
| „ „ „ 2 „ | 4 „ |
| „ „ „ 3 „ | $3^1/_2$ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში. | |
| 1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. | 7 კ. |
| მე-2 „ „ „ „ | 5 „ |
| მე-3 „ „ „ „ | 4 „ |
| ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა | 7 კ. |
| სუკი — — — | 12 „ |
| ცხვრის ხორცი — — | 7 „ |

# განცხადებანი

ამიერ კავკასიის დედათა საბჭოსთხოვს ინსტიტუტში ნამყოფ ქალებსა და ყველა მათ, ვისაც ამ ინსტიტუტში უმსახურნია, დაესწრენ სამადლობელს პარაკლისს უფლისა მიმართ და საიუბილეიო აქტს, რომელიც მოხდება 24 იანვარს ამ ინსტიტუტის დაარსებიდგან ორმოცდა-ათის წლის შესრულებისა გამო. მსურველთ შეუძლიანთ ბილეთები აიღონ ყოველ დღე 21 იანვრამდე ინსტიტუტის კანცელარიაში 12 საათიდგან 2 საათამდე. ამასთანავე საჭიროა, ბილეთის მიღებისათვის, ინსტიტუტში ნამყოფ ქალებმა წარადგინონ სწავლის დამთავრების მოწმობანი.

კბილის ექიმი
**ა. ი. ორბელი**
სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 8-დგან 12 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
**კვირა-უქმე დღეებში**
დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—1)

„ქართველთა ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიაში ისყიდება ახალი წიგნი
**მევენახობა**
თხზულება თ. ლ. ე. ჯორჯაძისა, ფასი 60 კაპ.
იქვე იყიდება თხზულება თ. ი. ჭავჭავაძისა, მეოთხე ტომი, ფასი 1 მან 60 კაპ. (5—5)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ
**„ივერია“**
ამ 1893 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს, იმავე პროგრამმით, რა პროგრამმითაც დღემდე გამოდიოდა. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია‘‘ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებ უნდა დაიბარონ გაზეთია შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты ,,ИВЕРІЯ‘‘.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები და კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას გელარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში № 21.

ა ხ ლ ა დ გ ა მ ა რ თ უ ლ ი
**პანსიონი და სასწავლებელი**
ა. გ. მირზაშვილისა
იმყოფება გრიბოედოვისა და კრუზენშტეინის ქუჩების კუთხეში, ბალდოევის სახლში. შეგირდები მიიღებიან როგორც პანსიონერებად, ისე გარედამ მოსიარულეებად. სწავლა დაიწყო 25 სექტემბრიდამ.
(50—32)

Во всѣхъ книжныхъ магазинахъ Россіи
**ПРОДАЕТСЯ**
**ПОЛНОЕ СОБРАНІЕ**
СОЧИНЕНІЙ
**М. Ю. ЛЕРМОНТОВА**
съ портретомъ писателя, его біографіей, факсимиле и двумя иллюстраціями.
**Цѣна 60 коп.**
II
То же изданіе съ семью иллюстраціями
**Цѣна 1 руб. 25 коп.**
За пересылку прилагается 4 марки по 7 коп.
Стоимость книги и пересылку можно высылать и марками.
**ТОРГОВЦАМЪ СКИДКА.**
АДРЕСЪ ИЗДАТЕЛЯ: *Москва, Малая Лубянка, домъ Ивановскаго монастыря*, ИЗДАТЕЛЬ Ѳ. И. АНСКІЙ